

# წამება

## წმიდისა ქეთევან დედოფლისა

ლექსად თქმული

34198

სანკთპეტერბურღს

ტიპოგრაფიასა შინა იოსებ იოანესოვისასა

წელსა· ჩყით ივლისის· კა დღესა·

1819



მისს უგანათლებულესობას

უმოწყალეს ჴელმწიფეს

საქართველოს მეფის ირაკლის ასულს

ქეთავანს.

---

მოსკოვით სანკტ-პეტერ-ბურღს.

მეფის ასულო, ქველ კეთილ სულო,
ძვირ უფასულო ქეთევან რქმულო,
ზნეობით სრულო მწვე უნაკლულო,
ქებით აღმკულო საკელ განთქმულო,
რტო დავითულო მის მტილსვე რგულო,
ევფრატით რწყულო კოწლებ დასხმულო,
მონარგიზულო ჯერ არ დაზრულო,
ჰირ მომანგულო სადაფ განკმულო.

* * *

აწ ახლად თქმული წამება, ქეთავანისა დიდისა
ქვეყნად დღესასწაულითა მარტვილობისა, ცად [illegible]
მოსახელისა შენისა, მის ნექტარისა წმინდისა
სამშობლო საქრმეულობით, ორკერძო მისაზიდისა.

დიმიტრი.

************************************************************

წამება ქეთევან დედოფლისა ახლად თქმული თავადის დიმიტრი ბაგრატოვანის მიერ.

---

შენ უწინარეს ყოველთა, საუკუნეთა მყოფელო
თჳსისა დასაბამისა, თჳთ თავსა შორის მყოფელო
ვითარ და როგორ მჴელიდღეთ, უცნობო შეუცყობელო
საიდუმლოსა დიდისა, ვერვისგან მოსათხრობელო.

* * *

განსაკრთობელთ საკჳლთა, შენი ვახსენოვინამან
რომელმან შექმენ ყოველი, უხვებით მოუწყინამან
ცა და ქვეყანა უფსკრული, ზღვათა განვრცომით მდინამან
ეგზომ დიდმან და ძლიერმან, სამრწოლმან შესაშინამან.

* * *

ბნელთა წყვდიადთა უკუნთა, დამლევმან დამავსებელმან
ცათა შემომქმედმან წყალთა მკმელმან, სოფლისა მაარსებელმან
კაცთა მბადებმან ყოვლითა, კეთილით აღმავსებელმან
ზეცისა მწყობრთა ბოროცთა, დამცემმან დამნასებელმან.

შენ ხარ მიზეზი ყოვლისა, უხილავ სახილველისა
ცისა მზისა და მთვარისა, ვარსკვლავთა დაუთვლელისა
მიწისა, წყლისა, ქარისა, ცეცხლისა ეჭთერ მწველისა
ქვეყნად მომყვანი კაცისა, ახალისა და ძველისა.

* * *

შენ მოინებე ყოველთა, ცხოველთა მოყვანებანი
მკეცთა პირუტყვთა ფრინველთა, თევზთ ზღვათა დავანებანი
მათდა უაღრეს პატივით, კაცთა ქვეყანად გებანი
მადლობის შემომწირველმან, რა გკადრო მე გლახ ქებანი.

* * *

მრავალნი დამვრეტკვერა თქვეს, შენი საფერი ქებანი
ვითარიც გიხამს მაღალო, შესხმისა მოხსენებანი
სიტყვა მოავლდათ ცუდ ექმნათ, ჭაზრი და მოგონებანი
შეუძლებელ არს კაცთაგან, ღმრთაების მიწდომებანი.

* * *

სოლომონ შენდა სასიბრძნოდ, სცნა თჳსი ნიჭთავლებანი
დავითს კმა ტკბილად მკმობელსა, გაუტყდა ქნარი ებანი
პავლემ სამ ცადმდე აღსრულმან, განიკრცო განკვირვებანი
ვერვინ გამოთქვა ჯეროვნად, საღმრთონი ვითარებანი.

დადუმდენ პირი დაეყოსთ, ყოველთა შენთა უცნოთა
დამბრმალთა დაყრუებულთა, შლეგთა შმაგთა და უგრძნოთა
ბრძენთა და ფილოსოფოსთა, უარშიოთა უზნოთა
ვინც არ იცოდეს ყოფილი, მყოფი მყოფადი უვნოთა.

* * *

შენ გევედრები ვინა ხარ, მის უჟამოსა ხანისა
მათქმიო სპარსთაგან წამება, დედოფლის ქეთავანისა
თუცა ბუნებით ლმობილისა, სიმკნითა ახოვანისა
ქართუწლთა მანათობლისა, მთვარისა მონავანისა.

* * *

ვირე დრო ჰქონდათ ივერთა, თჳთ უფლად მეფედ ჯდომისა
კასპიით პონტოდ პყრობისა, საყმოდ ჴელ მისაწდომისა
სპათაგან მოლაშქრობისა, ხშირად წადილი ომისა
ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, იცოდენ მალი ლომისა.

* * *

რა მისთა მპყრობთა განიყვეს, ივერთა სამეფოები
სამოთხე კეთილ საშკები, ქვეყნად სწორ მოუპოები
ერთი მეორის უმჯობე, გულისა დასატრფოები
დასცხრა მათვერძო უხვებით, ცა წყალობისა მთოები.

* * *

ოდეს განიყვნენ მოაკლდათ, მათ ძალი ამა ჟამებთა
საქართველოსა მეფეთა, ქრისტეს მოსავთა მწამებთა
დაუწყეს სპარსთა მძლავრება, გარდასხმიდიან შხამებთა
აწვევდენ ჰსჯულის დაგდებას, ღმრთის სათნო დედა მამებთა.

* * *

სპარსნი ჰსმულობდენ ჰსჯულთათჳს, ქართველთა დანამცირებთა
უარის ყოფას აწვევდენ, ქრისტეს ჰსჯულისა მჭირებთა
გრწამდესთო ერთი არსება, ნუ ესავთ სამთა პირებთა
ამად სტანჯვიდენ მრავალთა, შეამთხვევდიან მკირებთა.

* * *

თუ არ იწამებთ ეტყოდენ, თქვენ მაჰმედს ფელანძარადო
მას ზეცით მოვლინებულსა, წინასწარმეტყველთ გვარადო
სამოთხეს სულთა საშვებლად, ქვეყნად ჴორცთ გასახარადო
უცილოდ მოგწყვედთ ჰსჯულთათჳს, ცოდვად მივიჩნევთ არადო.

* * *

მრავალნი მოსწყდენ სპარსთაგან, მეფენი მოწამეობით
სისხლი დაჰსთხივეს ქრისტესთჳს, ტანჯვა თავს იდვეს მკნეობით
არჩილ, ლუარსაბ, დიმიტრი, შუშანიკ პირად მზეობით
სხვა ჩინებულნი მთავარნი, ჰსჯულისა და ურყეობით.

* * *

ქეთავანისა პატიჟთა, მე ვიტყვი მათდა მეტებით
არვინ და ჰსჯილა დედათგან, მისებრივ გამო-მეტებით
ჴორცს გლეჯდნენ ცხელის გაზებით, ლურსმებით ჩხვლეტდენ მწვეტებით
მოქუფრით სისხლი სწთებოდა, ძარღვების დასაწყვეტებით.

* * *

მეფეს უთქვამს თეიმურაზს, მაშინდელი მისი ვნება
თუცა მსმენსა ვით დამსწრეებსა, შეურაცხავს გაგონება
რაღად გვიხამს სხვათა ლექსთა, მომატება მოგონება
მაგრამ ბრძანებს არ უშლიო, ვინცა იტყვის ჯართო ნება.

* * *

მის ნეტარისა წამება, მეფისგან მოკლედ თქმულები
ჭირით ჭმუნვით და ვაებით, არიან დატვრთულები
გულ დაკოდილსა არ ძალუმს, არა სტკიოდეს წყლულები
მის თჳს გძლად ვეღარ მოგვითხრა, პატიჟი დაუსრულები.

* * *

თუცა მწადს სათქმად მეშინის, არ ძალმიძს გათამამება
წმინდის ქეთავან დედოფლის, სასტიკი ტანჯვა წამება
მე ვით მოგითხრათ უცებმა, ენა ახლავე დამება
მაგრამ იგივე მეწევა, ვისი მაქვს რწმენა წამება.

* * *

უწყალომ მძლავრმან ძლიერმან, მეფემან სპარსეთისამან
შაჰაბაზ სახელდებულმან, უარის მყოფმან ღმრთისამან
იზრახა კახთა აღმოფხვრა, მწადემან დიდის ხნისამან
წარმოვლო გზანი მოწყვეტად, ბოროტმან ავის ზნისამან.

* * *

დედა მეფისა მის ჭამბის, მოსმენით დაჭმუნდებოდა
მას დღე მზე აღარ ნათობდა, ცა რისხვით მოქუხდებოდა
შავთა ზღვათაგან ცრემლისა, ნავადი მოსდინდებოდა
წასვლას ბძანებდა თათბირი, ამაზედ გარდასწყდებოდა.

* * *

მსწრაფლად წარვიდა მასთანა, ნებით კვლ შეუხებელად
კახთ დედოფალი ქეთავან, სახვეწრად საოკებელად
ნუთუ დაიცვას ქვეყანა, მტერთაგან უოკრებელად
თავი გასწირა საკვდავად, უკვნესრად უოკრკებელად.

* * *

მივიდა დახვდა შაჰაბაზ, პირშავად მოგებებული
გამწყრალი განრისხებული, ვით ლომი აღბორგებული
შვილის შვილთ თხოვნა დაუწყო, წაულო დამთავკებული
მერმე წარგზავნა შირაზად, იგ პირმზე მოდრეკენებული.

* * *

არ შეიყვედრა მოაჯე, არცალა მისი კახეთი
სრულად მოწყვედას ექადდა, სიტყვითა მკვახე მკვახეთი
შეპყრობილი იყო შაჰაბაზ, ეშმაკის ბადე მახეთი
შემწიკვლებული ჰსჯულითა, მისის მინარის მძახეთი·

* * *

მოვიდა ლაშქრით მოსწყვიდეს, მრავალნი დედა წულები
მამანი სიმკნით რჩეულნი, ბრძოლათა მონახულები
სხვანი წაასხეს პატიმრად, კელკრულნი დაბაწრულები
უმწარეს ბაბილოვნელთა, სტიროდენ წარტყვევნულები·

* * *

მუნ დაჭყოხანი ქეთავან, კვნესით სულთ თქმით დავაებით
შვილის შვილთ სიკვდილს შეესწრა, მათგან უწყალოს ზვავებით
მისთჳს დაბნელდა ქვეყანა, მზემ შეიმოსა შავებით
მაშინც არ დასცხრა შაჰაბაზ, გულითა განაქვაებით·

* * *

მოსთქვამს რა აგრას ვჭყო უთქვენოდ, სულთა უტკბოსნო შვილე-
ბო
ჩემგან სათუთად ნაზარდნო, ჯერ ისევ ყრმანო ჩვილებო
ვარდნო კოკობნო უშლელნო, ზამბახნო გაფურჩვნილებო
სიკვდილის ცელით კვეთილნო, უჟამოდ გარდაცვლილებო ·

* * *

ჩემნო შვებისა წალკოტნო, ალექსანდრე და ლევანო
სარო და ნაძო ნანორჩნო, ახალნო ნერგთა კვავნო
იერიქულნო ვარდებნო, პალესტინისა მტევნო
უთქვენოდ საწყლად სულდგმულმან, ვითარა ვიქეთავანო.

* * *

ჭირზედან ჭირთა დართული, სიცოცხლე გამწარებული
მიწყივ ტიროდის სულით ითქვის, იგ ნუგეშ დამვირებული
არ ახლდენ ბანოვანები, არცა სამღვდელოთ კრებული
ეთქვათ რამ გულის სადები, ნუხარო აგრე ვებული.

* * *

ციხეს ჰსჯდა მთვარე პატიმრად, პირ მცხრალი მიცალეული
საკვდავად განმზადებული, ტარიგი მრავალ წლეული
მარხვით მომყმარი მიკრწნილი, და ლოცვით ღამე თეული
ზეცის სიძისა მომლოდნე, სძალი სასძლოსა წვეული.

* * *

რა ხანი წარხდა დასცხრების, ასე ეგონათ ყველასა
ეგუფრო განმვინდებოდა, ვინ გელჭყოფს მისსა შველასა
რა დააწყნარებს მცბიერსა, გველსა კუდმქნევსა მელასა
ბილწის მაჭმელის მოსავსა, ჰსჯულითა სამაგელასა.

* * *

არ დააწყნარა შაჰაბაზ, საცთურმან ეშმაკისამან
დასაბამითვე კაცთ მკვლელმან, სისხლთა დამთხევმან ძმისამან
აღძრა იგიცა ყხომოდ, წადილმან გულის თქმისამან
ბრძანა დედოფლის წამება, მპყრობელმან სპარსეთისამან.

* * *

ეპოძა შახის რაყამი, იმამყულ სახელ დებულსა
შირაზის ხანად მჯდომელსა, კაცს ღირსად განდიდებულსა
თუ არ იწამებს ჩვენს ჰსჯულსა, მაჰმედის მოგონებულსა
ნუ აცოცხლებო ქეთავანს, დედათა შორის ქებულსა.

* * *

ებრძანა მოვალთ წამებით, ეგ უცხო ტურფა ლამაზი
ჰვირად მზე ტანად ლელწამი, ქალი ზარიფი და ნაზი
ვინ არ შევსვამთ მის სისხლსა, მე არა ვქნათ ნამაზი
მაჰმედის ფიცით იმამყულს, ასე მოსწერდა შაჰაბაზი.

* * *

გავრთა რა ესმა იმამყულს, ბრძანება უსახურისა
ვით იკადრაო ჴელმწიფემ, მაზედ ძიება შურისა
რა სანუფქოა დედისა, მისაგან ნამსახურისა
დიდხანს დავრძალო წერილი, მის ეშმაკისა ჭურისა.

* * *

მერმე წარგზავნა სარანგნი, დედოფლის მისათხრობელად
შესთვალა ბრძანებს ჴელმწიფე, რისხვისა დასაცხრობელად
თუ უარს ჰყოფსო მის ჰსჯულსა, იქმნების ქრისტეს მგმობელად
ისევ წარვავლენ დიდებით, მუნვე კახეთის მპყრობელად.

* * *

მოიღეს მის წინ დააწყეს, სხვა და სხვა იარაღები
საქენჯნი, რვალნი, რკინენი, მკურვალთა ცეცხლთა საღები
ზარები, ქვაბი, გზები, შამფურნი დასადაღები
თუცა თუ ჴორცთა საწვავნი, სულისა ასალაღები

* * *

მან არმაღანად მიიძღვნა, ვით სასძლომ სამკაულები.
მოსართავ მოსაკმაზავად, განგებით მის თჳს ქმნულები
თაჯად, ჯიღად, და სირიზად, საყურე საფარდულები
სათუთოთა ჴორცთა საგლეჯნი, საწვავნი დასაწყლულები.

* * *

უბრძანა ვარო სოფლისა, დამვიწყებელი ლხინისა
არად მჩანს ჭირნი საჭიროდ, ვარ უმაგრესი ტინისა
არ მეშინისო თქვენისა, გახურვებულის რკინისა
რაგინდ რა მითხრათ ტანჯვისა, სასტიკად მოსათმინისა.

* * *

მე ვით ვგმო ქრისტე მე ღმრთისა, ქალწულისაგან შობილო
უჟამო სიტყვა ჴორც ქმნილო, მამის ერთ არსად ცნობილო
ჩვენთჳს ჯვარზედან ნამსჭვალო, ლახვრითა გვერდსა სობილო
მკვდრეთით აღმდგარო საყდარსა, მარჯვენით ღმრთისა ჯდომილო.

* * *

ილოცავს იტყვის გულმდუღრად, მტირალი ცრემლთა მფრქვეველი
ღმერთო მამათა ჩვენთაო, ვინ დანთქი ამორეველნი
განმამლიერე უძლური, ვიქმნე შენს მტერთა მძლეველი
მომეც მოთმენა ტანჯვათა, უკლები მოუღლეველი.

* * *

იტყვის ეჰ ღმერთო მაღალო, უსაზღვროვ მიუწდომელო
საკვირველებით საცნობო, სხვად ვერას მისახდომელო
ზესამყაროსა საყდართა, გარ შეუწერლად მჯდომელო
ყოველგან მყოფო ყოვლით მხედო, შენ თჳთონ განუცდომელო.

* * *

მომეც მოთმენა უძლურსა, დედასა დანაბერებსა
ვის მექადიან შეთხევას, მე ცეცხლსა დანაბერებსა
ჴორცთა საწვავსა სულთა თჳს, ემბავთა მოსაგერებსა
დამამოყვასე ანგელოსთ, დამხსენ მას ჩემსა მტერებსა.

* * *

აწ გევედრები იესო, მომეც სიმჴნე და ძალია
ვინ ჩვენთჳს მოკვდი უკვდავი, აღხოცე მძელი ბრალია
რავდენ შევიძლო მეც შენი, გარდავიხადო ვალია
მედ ღმრთისად გწამო უარვჰყო, მათი უსეინ ალია.

* * *

თუ არს ჩემ შორის სოფლისა, ბრძვილი და მიწიერება
მომმარცვე გამომაკურვე, ვით ოქროს მიწიერება
გარდმახალისე განმწმინდე, იხმარე ღმობიერება
ვითარცა ვაცსა შემინდე, ეშმაკთა მომცბიერება.

* * *

აწ ამას გევედრებ უფალო, მაღალო ზესთა ზეოდა
ერვახთა მეფედ მჯდომელი, თემურაზ ჩემი მეოდა
დაიცევ იგი ქვეყნითურთ, იქმნეს მტერთაზე მძლეოდა
ადიდოს შენი სახელი, ანათოს ვითა მზეოდა.

* * *

წმინდათა საიდუმლოთა, განკრძალვით ზიარებულსა
ზე აქვნდა გული უხადო, გონება განცვიფრებულსა
ხედვიდა მისთჳს მოხარულთ, ანგელოსთ ძალთა კრებულსა
ესწრაფებოდა მუნ მისვლა, სიცოცხლე გამწარებულსა.

* * *

კვლავ შეემთხვია ხატებსა, იგ ცხოვლად დანახატები
დასთხივა ცრემლი ოფლითურთ, ღვაწლისა მოსამატები
დააგდო ნოხფარ ფარდაგი, დორი სუზანი სნატები
ბდგა თამამად იწვია, მან მისი ჯამარატები.

* * *

რა ილოცა დაჯდა იგი, ვითა სძალი მოსავმასად
უბრძანებდა მოვიდნენო, გულუშიშრად წყნარი ნაზად
შემოვიდნენ მტარვალთ დასნი, შეკრთეს ნახეს სათავზად
ვერ შემართეს დიდხანს იდგნენ, მიწვეულნი სადარბაზად.

* * *

თავადგნენ მისნი მხლებელნი, გულმდუღრად მონატირები
მუხლთ ეხვეოდნენ ეაჯდენ, მიწად დაედვათ პირები
შეგვიწყალეო ეტყოდენ, უცხოს ქვეყანას მწირები
გარდასწყვედიან მოსთქმიან, სიტყვები გასაკვირები.

* * *

მოსთქვემდენ ქართველთ მუშთარო, ერავხთა ცისკრის მთიებო
მთოვარევ მოკამკამებო, ლამაზად მოციმციებო
ბნელთა უკუნთა ღამეთა, გაწმდევნო განმაღლიებო
მუქთა მფენელო ორთავე, სამეფოთ განმამზიებო.

* * *

ჩვენ ვით ვიმღეროთ ჴმელთა მზეო, ქება შენი მოსათხრობლად
ვინ განგებამ განგამზადნა, დედოფლად დაქვეყნის მპყრობლად
ბანოვანთა სათავადად, მეფეთ ტახტთა შესამკობლად
ნუ განსწირავ თავსავარგსა, ნუ მოგვიკლებ ჩვენ საყმობლად.

* * *

ვის არა გიჩნდის სოფლისა, დიდება მორჭმა ქონება
მეფიაობა ტახტს ჯდომა, სეფეწულთ ყმობა მონება
დროშა, ლაშქარი, სარანგნი, მანდატურთ მლოლარონება
ზეცისა სასძლოს ისწრაფდი, მუნ გქონდა გულიგონება.

* * *

ვინ აშენებდი ამკობდი, ტაძარსა სახლსა ღმრთისასა
ჰალივს ჰყოფდი სამღვდელოთ, სძულობდი წარმართისასა
ჟუხილავ იყო ჭვარევდი, ქველის საქმესა თჳსასა
ცხადად ჩნდა ჟუნჯი დებული, შენგან სალაროს ცისასა.

* * *

ვისგან ნახულა შვენება, ესზომის შემკობილებით
ვითარიც შენგაქვს ჟუზადო, მნათობთა შესაცილობით
თვალი ტანადობა სინაზე, ზარიფად მოხდენილობით
ნუ გაიცუდებ მით გვადრებით, ერთგულნი შემოზრდილობით.

* * *

ეტყოდნენ იგი გულწყლულნი, რა გაქვსო გასაჭირები
დაჰყევო მაჰმედს ნუ ეკლტი, ქრისტესგან განაწირები
დღე მოწყევნილა სამწუხროდ, ღამეს აქვს ჟამი მტირები
ახლოს არს შენ თჳს საკვდავად, ლახვარი გასაგმირები.

* * *

აწ გევედრებით ყველანი, მონანი შენნი ქენებით
გვემულაბნები პატრონო, სწორო უპოვარო შვენებით
თავს ნუ მოიკლავ წამებით, მძელისა მოსათმენებით
ქრისტე უარჰყავ იწამე, მაჰმედ მათ ებრივ ხსენებით.

* * *

მაგას ვით მნუკავთ ხადუმნო, ჰსჯული დავაგდო მეოდა
მაჰმედ ვიწამო ფელაბრად, არაბეთს მოზღაჰრეოდა
მართლისა დამტევებელი, სიცრუის მოწამეოდა
მაცთუნებელი უცებთა, თავის ჟამი და დღეოდა.

* * *

ეტყვის ნუ გელმით საკვდავად, ქრისტეს თჳს ტანჯვა წამებით
მსწრაფლ შემოკლდების სოფლისა, ჭირი დალხინი ამებით
სულისა ნაცვლად რას ვირგებთ, ჩვენ აქ კორცისა ჭამებით
თანწამომყევით წაგიყვანთ, მომევიდენით მომებით.

* * *

მე აღვალ ცათა სუფევად, თქვენცა აღგიტან დიდებით
თუ აქავ ჴორცთა მოიწვავთ, ცეცხლითა განიწმინდებით
ჩემთან იქმნებით სამოთხეს, ქრისტეს სძლათ დაიწინდებით
თუარა მოსწყდებით მგმობარნი, ჯოჯოხეთს მიიზიდებით.

* * *

არ მიგდრიკონო ღმრთისმაცა, ეტყოდა გააფრთხილებდა
მჴნედ იყვენითო ჰსჯულთა თჳს, სარკვენლად ამახვილებდა
შიშით დამბრმალთა ხედვათა, ვითარცა აღუხილებდა
ქრისტეს საგმობლად დაყოლას, ეგონა ააცილებდა.

* * *

მათ შიმუნვართა მასთანვე, დაუწყეს დასხმა ჴელისა
შეიპყრეს შექნეს მოღება, რკინისა ჭურითა ცხელისა
რა ნახეს შეკრთენ შეზარდენ, მიწისა ჴორცთა მწველისა
დაჰყვნენ ახლისა ჰსჯულისად, დამტევებელნი ძველისა.

* * *

კვლავ მიხვდათ რიგი მოკალეს, მათ უბედურთა ხუცებთა
აწვევდენ ცრუთა წამებას, ჭეშმარიტისა მფუცებთა
დაჰყვნენ საგმობლად ქრისტესად, იგ სულმოკლენი უცებთა
ვერ იძლეს წამად მოთმენა, ტყავისა და საბურცებთა.

* * *

შეუძახნა დედოფალმან, კმა ძლიერად ვითა ლომმან
საღმრთოს მადლით განმკნობილმან, მის სულმოკლის გარემ-
ჭომმან
ეჰ ხუცესო გავს მიგზიდა, ქმაკისა მოსანდომმან
რად დაგვიწყდა ჩვენთჳს რა ჰქმნა, უსაზღვრონან მიუწდომმან.

* * *

ძე მოავლინა მოვიდა, სოფლისა მაცხოვარებად
ძველისა ჰსჯულის დაცხრომად, ახლისა აღსაარებად
ვნებად, ჯვარცმად და აღდგომად, ყოველთა გასახარებად
შენ რად მის დრკები ხუცესო, მაჰმედის შესაწყნარებად.

* * *

მათ უსახურთა მონათა, ეწადათ ახდა ტანისა
სჰელტავთა უსჰელტავისა, ნარნარად მოტატანისა
უთხრა არა ხამს განხილვა, დედათ გვარით დანატანისა
უმისოდ მტანჯეთ არა ვარ, და მყოვნებელი ხანისა.

* * *

პირველად ცეცხლი დააგზნეს, ჭურთა 'თჳს საკურვებელად
ბაბილოვნურთა სახმილთებრ, საზარო საყურებელად
მას შიგან ჩასდვეს რკინენი, საწვავად საწყლულებელად
მიწისა კორცთა შესაჭმად, სულისა ხსვურნებელად.

* * *

მიწად განართხეს გაუბეს, ზარიფნი ფერხნი ჴელები
ქვეშ გაუშალეს სალებად, ლურსმები განაცხელები
საბნად დახურეს რკინენი, საწვავად განათხელები
მით დაამინეს ქეთაჲვან, ჲკვანს უწრებდენ მკვლელები.

* * *

მერმეთ მოიღეს მკურვალე, ცეცხლ მოცყინარე გაძები
დახლიჩეს უცხო მუმუნი, თეთრ გულსა მოლამძები
ტანთა დაავლეს შამფურნი, ზროწელთა მოსანაძები
თავით ფერხადმდე არ დაშთათ, მათ ფარგლით მოუხსძები.

* * *

რა აღარ დაშთათ რკინენი, საწვავად მოუხმარები
აღიღეს იგი ახალი, მისის სათხრელი ბარები
ცეცხლში შთააწყვეს აკურეს, ლაპლაპით შესაძხარები
მუპლსა შემოსდვეს და მძიმდა, სული ჴორცვასაყარები.

* * *

აღახვნა თვალნი შევკედრა, სული მას ვისთჳს იწოდა
ჴელთა შენთა არს სასჯელი, ვით არა მოვიწიწოდა
მაგრამ მიოკებს რომელი, იგ დიდად ღმრთისად იწოდა
გამიფართოებს წყალობით, თუ გზა მაქვს შესაიწროდა.

* * *

მერმე იტყოდენ არისო, რადგან კახეთის მპყრობელი
ხამს მოუძიოთ დედოფალს, მეფეთა შესამკობელი
ქვაბი დაადგეს გვირგვინად, სიკვდილის მოსასწრობელი
თხემისა აღსახეთქელად, ტანჯვისა დასაცხრობელი.

* * *

კვლავ წამოასხეს პორფირად, ცეცხლ მწველი მუსმარ ბასრები
ჴელთ მისცეს სკიპტრა შამფური, მით განაგეო სამზღვრები
ზედსადგართ ტახტი დაუდგეს, დასვეს ჴელ შეუკადრები
როგორ არ მოსწყდენ მტარვალნი, ღმრთის რისხვა მოსადრებში.

* * *

რა აღესრულა ნეტარი, ფიცხელის სატანჯველებით
თხემით ტერფადმდე მოწყლული, კორცისა დასაწველებით
ნახეს დიდება უფლისა, დამბრმალთა სახედველებით
განითქვა ყველგან საჴელი, დედოფლის საკვირველებით.

* * *

ციით მოიყვანა იხილეს, ნათელი მაზედ მდგომელი
მისგან ვინ ბრწყინავს ყოველგან, მზე სხივით დაუხდომელი
მადიდებელი მოწამეთ, პატივის ცემის მდომელი
მამხილებელი უღმრთოთა, ქვემიწად დასავრდომელი.

* * *

შენა ხარ მადიდებელი, ყოვლით შენთა განმადიდებთა
ალიყვან ცათა სუფევად, ტანჯულთ უხადოს წმინდებთა
კვლავ აქ ახილვებ სასწაულს, ინდელთ სპარსთა და მიდებთა
აპატიოსნებ ქეთავანს, განსთქვამ კიდისა კიდებთა.

* * *

დიდება შენდა მაღალო, ქვე სათაყვანო დიდადო
ვის გინებს ყოვლი სოფელი, თჳსადმი მოსაზიდადო
ფრანგთა მოიყვან დასავლით, მარტვილთ გვამთ მოსასყიდადო
ქართველთ მიმადლებ ნაწილთა, დამათ აწამებ წმინდადო.

* * *

საფლავს ახალს ვერ ჰპოვეს, თქვეს ფრანგთა მოიპარესო
ნუ გვკვირსთ მათგან წაღება, თუ თეთრიც მოიხმარესო
რადგან ხედვიდენ ქრისტესთჳს, ტანჯვასა შესაზარესო
რომლის ტაგრუცით აღმოხდა, კეთილფშვა მისსაარესო.

* * *

ქვეყნად იდიდა ღვაწლითა, ზეცად აღვიდა ქებითა
ვინ იგი იწყლა ყოვლითა, ნასხამთა მონაგებითა
სისხლი დასთხივა ქრისტეს თჳს, კორცი შეიწვანებითა
მოწამეთ გუნდთა შეერთო, უკვდავთა მისაგებითა.

* * *

ცაგანაკვირვა განაკრთო, ქვეყანა მისმან თმენამან
პირადპირადმან პატიჟმან, უზომოდ წყვლამან ტკენამან
ჴორცთა ცეცხლითა შეწვამან, შავად სისხლისა დენამან
მაშინ დედოფლის სასჯელი, ვითარ გამოთქვას ენამან.

* * *

ვინ მოსთვლის მისთა პატიჟთა, ვიშ ვახად სანეტაროსა
ცეცხლისა ზღვათა მცურავი, ელის უკვდავთა ტაროსა
ზეცისა ნავთსაყუდელად, მისვლასა წმინდთ სატაროსა
მოწამეთ სასადგუროსა, დიდსა არ საპატაროსა.

* * *

სატრფოს ტრფიალსა მეტრფესა, სურვილის ცეცხლთადებულსა
წვა ლხინად მიაჩნს მოყვრისთჳს, უწყალოს ტანჯვით ვნებულსა
ოდენლა მიხვდეს წადილსა, სიმწარით მოპოვნებულსა
ქეთევან დიდსა მოწამეს, ღვაწლითა განბრწყინვებულსა.

* * *

მას უწვავისა ცეცხლითა, გული აქვს განახურები
აღტყინებულა სურვილით, შორს მყოფი ვერა მყურები
უხილავისა ხედვისა, შესვლია საღმრთო შურები
ისწრაფის უკვდავებისა, წყაროსა მიმართ მწყურები.

* * *

სოფლისა ღელვით დანთქმული, შთახდა უჰესა ზღვისასა
სიმკნით იღვაწა განქრა, ჰსკერსა ვეშაპის ყბისასა
მიხვდა საჯილდოდ მყუდროსა, ნავთ საყუდელსა ცისასა
ვეჭარ ინანდეს ჰატიუთა, კორცისა ცეცხლით წვისასა.

* * *

ქეთავან დიდი საკელით, კვლავ საქმით უმეტესითა
ზე აღხდა ცათა სიუფევად, მოწამეთ ღვაწლითა წესითა
კორცთა დაწვითა დაგვითა, სიმკნითა და უკვნესითა
ვინ იყო ჩამომავლობით, ქართველთა მეფეთ სქესითა.

* * *

უმკნეს უამოჩნდა მამათა, დედათ ბუნებით ლობილთა
გარდაუტევა სინაზე, რაზომცა ზარიფად ზრდილია
თავს იდვა ტანჯვა სასტიკი, მძლავრთაგან მონდომილია
აწ იდიდების იქების, ღვაწლითა შემოსილია.

* * *

ქვეყნისა ტახტით ზეცისა, დალიჭთა იქმნა მჯდომელი
სამეუფოთა მოსილი, ბრწყინვით თვალთ შეუდგომელი
მლევის გვირგვინი დაიდგა, ნიჭად ხვდებოდა რომელი
აწ ჰგიეს ჩვენდა მეოხად, წინაშე ღმრთისა მდგომელი

* * *

ქართველთა მეფეთ სქესისა, ვახთ მფლობელს ესმლოეგვარა
დალიჭთა მჯდომი დედოფლად, იტყოდა მინდა ეგ არს
ირჩივა მარტვილთ შედგომა, ჴორცთ დაწვით მისცა ბეგარა
ქეთავან დიდმან ვინ სიმჴნე, იმგრგვლივ მოირტყა ეგარა.

* * *

ძვირად დასჯილა მოწამე, სხვა კიდემისებრ წამებით
ვითარით სტანჯეს ნეტარი, ქენჯნითა დაუთვალებით
ძუძუთა ჴლეჩდენ ტანს სწვევდენ, ჴორცთა უდნობდენ შვალებით
გვირგვინს ადგმდენ სამეფოს, თკემს ხეთქდენ რკინა რკალებით.

* * *

ქვაბს გვირგვინად თავსადგმენ, ბარსა ჯილოდ ურჭმენ ცხელსა
საჯთ უვლებენ მანიავად, შამფურს სვიპტრად მძლევნი ჴელსა
მუსმარბასრითა პორფირს ასხმენ, ჯაჭვს ზოსტერად არტყმენ წელსა
ზედსადგართა დალიჭთა სმენ, დედოფალსა ერეთელსა.

* * *

ეგ ვით სასმლო მწველთა რკინათ, კაზმით განსამკაულებს
ჴორცთა შემწვარ შენაგლეჯთა, ისაყურებს იფარლულებს
სისხლთა ქუფრად ალმომხდართა, იმოწლალებს იპირგულებს
ვინ მოსთვალავს დედოფლისა, ქეთავანის სიმჴნით ქმნულებს.

* * *

ოდეს რაესრედ მოკაზმეს, მეფეთა სამკაულითა
ოქროსა ნაცვლად რკინითა, მწველ მკურვალ მეწამულითა
თვალ მარგალიტად ნაკვერცხალს, იყრიდა სიხარულითა
სძალი იწოდა ზეცისა, სიძისა სიყვარულითა.

* * *

მე მისთა ღვაწლთა მოთხრობა, ვერ ვიძელ რაზომ მეწნება
ვინ იწყო ქართველთ მეფეთა, გვართაგან აღმოცენება
ეთვისა თჳსსა ცომობით, კახთა უხავა შვენება
აწ ჰფარავს საქრმო სამშობლოს, მარად ნეტარის კსენება.

* * *

ხამს წყნარად სადმე ივროდეს, დავითის ქნარი ებანი
მანვე დამღეროს კმატკბილად, ქეთავანისა ქებანი:
რადგან ეკელყვის ორკერძო, თჳსტომად მოხსენებანი
სძლად და ასულად სახელს სდვას, ვისუგავს მოთმინებანი.

* * *

ამად კელვჰყავ ნუთუ მეცა, მე თქვა რამე შესაფერად
რა ვერ მივხდი საწადელსა, შეცა მექმნა გულს სამგერად
მწადდა მყისვე დასახევლად, რადგან კარგობს ვერა ვერად
მაგრამ მითხრეს უჯეროა, დამაშვრალსა მის საწერად.

* * *

ჰუხამს და ჯდეს ღირსი ვინმე, მისთა ღვაწლთა აღსაწერად
მთაწმინდელი ან სინელი, პეტრიწი ჰყვეს კალმის მჭერად
მოკლეს სიტყვით შეამჭევროს, გრძელი ტანჯვა მრავალფერად
მათ მოგვითხრან შუსმხართოდ, არსასტივონ გულსაგმერად.

დ ი მ ი ტ რ ი.

მის მაღალ-ბრწყინვალებას

უმოწყალეს ჴელმწიფეს

თავადს დიმიტრი გიორგისძეს

ბაგრატიონს.

სანკთ-პეტრე-ბურღით მოსკოვს.

************************************************

## თავადის დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისადმი.

---

მაღალ ბრწყინვალეს თავადსა, დიმიტრი ბაგრატოვანსა
ერთისა მიერით შთამოსრულს, გჭვრეტთ მრავლად მაშვრალო-
ვანსა
დიდისა ქეთავანისთჳს, ბრძნულებ, რიტორებრ კმოვანსა
მსმენნი ესდენ ძვირფასთ ლექსთა, გაქებდეთ დიდ გვაროვანსა.

* * *

არ პირმოთნებით საქებრად, ვჰყავ აქა კალამს კელია
არც მისთჳს თქვენ ხართ ერთტომი, ერთგვაროვანი ძველია
არამედ ვიტყვი ნამდვილად, ხართ მრავლად საქმით ქველია
ამად გიცნობენთ კეთილად, ხართ სიტყვაც კეთილ მთქმელია.

* * *

ესე საუნჯე კეთილი, მოგნიჭებიესთ ბუნებით
თქვენა ხართ კაცი კეთილი, გამოსცემთ კეთილს მკულებით
მატთეოს მახარებელი, ვით იტყვის ბრძენის გონებით
ვჰპოვებ თქვენ შორის ამასა, ვინ საქმითა ჰყოფთ სწორებით.

* * *

მრავლად ყოფილან მქებარედ, წმინდისა ქეთავანისა
ერვახთა დედოფალისა, გვარად ბაგრატონისა
ამად თქვენ რად არდა გსურდათ, ესდენ მაშვრალოვანისა
წარგვეკითხა პიიტებრნი, ლექსნი ძვირფასოვანისა.

* * *

მართლად ვიტყვი გიხმრიესთ, პეტრიწულნი კალმის რვმანი
კათოლიკოზ ანტონისებრ, ჴსჯანი ბრძნულებრ საქმეთ თქმანი
ყოვლთ სასმენლად დასატკბობნი, მოთხრობანი დიდ საკმარნი
აწ აღიძრან ლექსთა მთხზველნი, იწყონ თქვენდა საუბარნი.

* * *

ჳსთქვა მეტთუ დიდნი ვნებანი, ივერიის დედოფლისა
ვერ ვამზგავსო ანტონის თხზულს, მჭევრ მეთქვებრ შეწმასნულისა
ვერც მეფის თეიმურაზის, ჭირ ჭმუნვით დატვრთულისა
აწ ბოლოს თქვენთა ნათქვამთა, პიიტებრ განკარგულისა.

* * *

ამად ალვირჩევ დუმილსა, მის დიდ ვნებათა თქმისასა
მოვისწრაფ თქვენდა გაცემას; მეგობრულისა ჴმისასა
თუ ღირსი ვიყო ამისი, მომფენდეთ, სხივსა მზისასა
ახალ მოსწავლეს მსწავლიდეთ, ვით მესა თქვენის ძმისასა.

* * *

უკეთუ თქუენდა იქმნენცა, სათნოდ ეს ჩემნი თქმანია
ეპისცოლეთი მას მინეთ, მე თქუენნი ცკბილნი ძმანია
ურთერთისადცა ინებეთ, მიწერა მოწერანია
პირუყვი მას ცხადად თქუენ კერძ ჰყოთ, მსმენელნი სრულადგმანია.

* * *

[...]უნოდ ვიცი თქუენც გიყვარსთ, თქუენის მამულის ძენია
[...] სურდა მათცა ეუწყოსთ, თხზვაჲ სიბრძნისა მფენია
[...]ი მოსწავლეთ ქართუელთა, სთქვან მარად ქება თქუენია
არს საკითხავად სამო, აროდეს მოსაწყენია.

* * *

[...] სიყუარულ მან, ვითა თქუენმან ესრეთ მძლია
[...] წარვიკითხე [illegible] თქუენი [illegible] არს სამო სრულია
არდა გკითხეთ მისსა მქმნელსა, ვჰყავ სწრაფად დაბეჭდულია
აწ უმდაბლესად მომირთმევი, გვედრით არ მყოთ განკითხულია.

* * *

(+) ნიშნად თქუენდა მადლობისა, და მემამულეთ მოყვარე
მექმნა მიზეზ ჩემ მშობელი, მყო მცირე შრომის მიმღებარე
თქუენის მაღალ ბრწყინვალების, მორჩილს მონად კარმდგომარე
მეუხნარ ბატონ იოვანეს, მე გრიგოლ ერთგულ მკმობარე.

გრიგოლ.

დაიბეჭდა წიგნი ესე სტამბასა შინა იოსებ იოანესოვისასა

ხოლო ზედა მხედველობითა და განმართვითა ანი

გიორგი ელიოზოვისათა, ჭჴანი

წელსა, ჩყით ივლისის. ა დღესა,

ს. პ. ბურღს.

894.63
Z 146